ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1825630

ნომერი: AR1296415

თარიღი : 24.03.2015

გაცემის თარიღი : 16.04.2015

გაცნობის თარიღი : 17.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის III მ/რ-ის ბოლოს. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1333614 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 24 მარტს #AR1296415 განცხადებით მომართეს შპს „თ.ბ.თ. ჯგუფის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი

რიგვავამ და შპს „New Tbilisi”-ის დირექტორმა გოჩა ჯაიანმა და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1333614 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1333614 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა, მე–3 მიკრორაიონის ბოლოს მდებარე #01.14.16.015.096, #01.14.16.015.097 და #01.14.16.015.098 მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) ასაშენებლად გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული აქტის საფუძველზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმება ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი:882014326383 თარიღი:30/06/2014, ს/კ:01.14.16.015.280) თანახმად, განხორციელდა #01.14.16.015.097, #01.14.16.015.096 და #01.14.16.015.098 მიწის ნაკვეთების გაერთიანება ერთ საკადასტრო ერთეულად.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცახდებლების მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „თ.ბ.თ. ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორის გიორგი რიგვავასა და შპს „New Tbilisi”-ის დირექტორის გოჩა ჯაიანის 2015 წლის 24 მარტის #AR1296415 განაცხადება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1333614 გადაწყვეტილება;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.